

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)  
6-7 June, 2014. Materials

## პროექტ-გაკვეთილი ო, ენავ ჩემო...

ირმა კრაველიძე

საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი ჭალის საჯარო სკოლის პედაგოგი  
E-mail: irmakravelidze@gmail.com

### ანოტაცია

აღნიშნულ ნაშრომში განვიხილავ ჩემი და ჩემი მოსწავლეების მიერ განხორციელებულ კონკრეტულ პროექტ-გაკვეთილს: „ო, ენავ ჩემო“ და მის მაგალითზე შევეცდები დავასაბუთო ამ მეთოდის ეფექტურობა და განვსაზღვრო მისი მნიშვნელოვანი როლი სასკოლო განათლების მიზნების განხორციელებაში.

*საკვანძო სიტყვები: პროექტი, გაკვეთილი, კვლევა, უნარი*

**შესავალი:** პროექტზე დაფუძნებული სწავლება ახლოა იმ მიდგომასთან, რასაც თანამედროვე საგანმანათლებლო თეორიებში პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას უწოდებენ. სასწავლო პროექტი ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ძალზე ეფექტური და მრავალფუნქციური მეთოდია, რომელიც მოსწავლე/მასწავლებელთა აქტიურ ჩართულობას, სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელებასა და ეფექტურ პროფესიულ თანამშრომლობას გულისხმობს. ამასთანავე XXI საუკუნის გამოწვევებმა და მიღწევებმა ცხადყო, რომ პროგრესულად მოაზროვნე ინდივიდების ჩამოყალიბება, მათი მსოფმხედველობის ფორმირება, ზნეობრივმორალური პრინციპების განმტკიცება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში უნდა მოხდეს. სწორედ ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ მოამზადოს მოსწავლეები ცხოვრებისთვის, ცვლილებებისათვის, განუვითაროს მათ ისეთი თვისებები, როგორცაა მობილობა, დინამიზმი და კონსტრუქტიულობა. მსგავსი მომზადება შეუძლებელია მიღწეულ იქნას მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ინფორმაციული ცოდნის დაგროვებით. ამისათვის სასწავლო პროცესი ისე უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს, რომ შესაძლებლობა მისცეს ახალგაზრდებს, გამოავლინონ დამოუკიდებელი და თანამშრომლობითი მუშაობის, კრიტიკული აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის, შექმნილი ცოდნის ტრანსფერის, თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციის, საკუთარი და სხვისი საქმიანობის შეფასებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი უნარები. ყოველივე ამას კი ხელს უწყობს პრექტზე მუშაობა .

ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის, პროექტის უმთავრესი დანიშნულება გახლავთ გავუღრმავო მოსწავლეს ცოდნა, კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარები, დამოკიდებულება და პასუხისმგებლობა საქმისადმი და ასე მივაღწიოს დასახულ მიზანს. მოსწავლისთვის კი საშუალებაა დამოუკიდებლად დაგეგმოს, გამოიკვილოს, განახორციელოს და საინტერესო გახადოს ცოდნის დაგროვების პროცესი. ამიტომ ხშირად მივმართავ ამ მეთოდს და მინდა გიამბოთ ჩვენს სკოლაში განხორციელებული ერთ-ერთი ასეთი წარმატებული სასწავლო პროექტის შესახებ, რომელსაც ყოველ აპრილს ვახორციელებ ჩემს მოსწავლეებთან ერთად სახელწოდებით: „ო, ენავ ჩემო.“..

**პრობლემა**--ჩვენ გვავიწყდება რომ გამართული მეტყველება და წერა მშობლიური ენის პატივისცემაა, მისი გადარჩენისთვის ზრუნვა ყველა ჭეშმარიტი ქართველის ვალია, სოლომონ ბრძენი იტყოდა: „ვინც თავის ენას კარგად მოუვლის, ის ჭირს არ გადაეყრება“. ასე, რომ ქართველებს ყველაზე მეტად გვმართებს ღვთაებრივი საუნჯის: „ენის, მამულის და სარწმუნეობის“ დაცვა.

**მიზანი:** 1. ქართული ენის სიწმინდის დაცვა და პოპულარიზაცია

2. ისტორიული ღირებულებებისადმი პატივისცემის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

3. სხვადასხვა საგანში დაგროვილი ცოდნის სინთეზირება, კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის მოძიების, დახარისხების, თანამშრომლობის, საკომუნიკაციო და შემოქმედებითი უნარების განვითარება

4. სასწავლო რესურსების შექმნა

**მეთოდები და პროცესის მოკლე აღწერა:**

**დაგეგმვა:** აღნიშნულ პროექტ-გაკვეთილზე მუშაობა დიდი სიხარულია ჩემი მოსწავლეებისთვის, (ვასწავლი მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასებს) შეთავაზებული თემა და საკითხები გავანაწილეთ კლასების მიხედვით:

პირველი ჯგუფი, (მე-9 კლასი)- იზრუნებდა პოეზიის სადამოს მოწყობაზე სახელწოდებით: „ო, ენავ. ჩემი...“

მეორე ჯგუფი (მე-10 კლასი)- იმუშავებდა აქამდე არსებული და მათთვის უკვე შესწავლილი მასალის თავმოყრაზე „ზიარება ქართულ საგანმურთან“ (უძველესი ქართული ხელნაწერებისა და წარწერების გაცნობა და კონფერენციის მოწყობა)

მესამე ჯგუფი (მე-11 კლასი)- დაევალა ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებული ახალი კვლევებისა და მონაცემების თავმოყრა და საზოგადოებისთვის გაცნობა.

დანარჩენი სამუშაო კი ყველა კლასისთვის საერთო იყო, რაც შემდეგს მოიცავდა:

საუკეთესო კედლის გაზეთის წარმოდგენა

საუკეთესო „ესე, ჩანახატი, ლექსი“

„საუკეთესო დეკლამატორი“

„საუკეთესო კალიგრაფი“

ინტელექტუალური ვიქტორინა -რა? სად? როდის? (ვინ უკეთ იცის ქართული ენა და ლიტერატურა, მართლწერის ნორმები )

სამუშაო გახლდათ საკმაოდ დიდი და შესაბამისად დრო განვსაზღვრეთ 1 თვით. ერთობლივად გავანალიზეთ ყველა მოსალოდნელი კითხვა და დაბრკოლება, დავთქვით კონსულტაციის დღეები. მე, როგორც მასწავლებელი ამ აპროცესში მხოლოდ ფასილიტატორის, კონსულტანტის როლს ვასრულებდი.

კითხვები და ამოცანები, რომლებიც ერთობლივად გავიაზრეთ გახლდათ შემდეგი:

რამდენად მნიშვნელოვანია პროექტის მონაწილეთათვის გადასაჭრელი პრობლემა?

საკმარისი იყო თუ არა მოსწავლეთა კომპეტენცია მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად?

საკმარისია თუ არა ვადები?

არის თუ არა დავალებები ისე განაწილებული, რომ თითოეული მოსწავლის ძლიერი მხარე წარმოჩინდეს?

რამდენად ვალიდურია ჩვენი შეფასების სქემები?

**პროექტზე მუშაობა:** მოსწავლეებმა დამოუკიდებლად მოიპოვეს მასალები. სამუშაოს ასრულებდნენ ხალისით, ენთუზიაზმით. გაიზარდა მათი მოტივაცია და პასუხისმგებლობა. სასკოლო სახელმძღვანელოების გარდა ეფექტურად გამოიყენეს ინტერნეტრესურსები და ბიბლიოთეკა. გააკეთეს ჩანაწერები (დღიური), უცვლიდნენ მოპოვებულ მასალებს ერთმანეთს, თანამშრომლობდნენ წარმატებით. თითოეულ კლასს კონსულტაციისთვის განსაზღვრული დღე ჰქონდა, რაც გამოიყენეს საფუძვლიანად.

**ინფორმაციის გადამუშავება . კრიტიკული აზროვნებისთვის** ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება მხოლოდ საწყისი ეტაპია, ამისთვის ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება გახლავთ აუცილებელი პირობა. მოსწავლეებმა გაიაზრეს პრობლემა ,იმუშავეს შეთანხმებულად,რადგან კრიტიკული აზროვნება სოციალური აზროვნებაცაა, შევეცადე მოსწავლეებს შეძლებოდათ სხვათა მოსმენისა და მათი აზრის გათვალისწინება,საკუთარი პოზიციის დაფიქსირება და დაცვა, საკუთარ მოსაზრებაზე პასუხისმგებლობა; საჭიროების შემთხვევაში საკუთარი შეცდომის აღიარება.

**კრეატიულობა, შემოქმედითობა:** ეს უნარები სლაიდების შექმნისა და კედლის გაზეთის გაფორმებისას გამოყენეს. პროექტის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ გახლდათ - სასწავლო რესურსების შექმნა. უკვე გადამუშავებული ინფორმაცია, თეზისების სახით გადაიტანეს სლაიდებზე.

**პროექტის შედეგი:** 1. მოსწავლეებმა შესრულებული დავალებები გადაანაწილეს კვირის დღეებზე და თანმიმდევრულად წარმოადგინეს საკუთარი საკონფერენციო თემები და პრეზენტაციები:

1 დღე-კვირეულის გახსნა, მე-10 კლასმა წარმოადგინა პრეზენტაცია შემდეგ საკითხებზე: "რა საფეხურები გაიარა დამწერლობამ ვიდრე ანბანამდე", "ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები", "ქართული ანბანის წარმოშობის ვერსიები"

2.მეორე დღეს- მე-11 კლასმა დამსწრე საზოგადოებას წარმოუდგინა ფესტოსის დისკოსა და ნეკრესის აღმოჩენების სიახლეები,რომელმაც დიდი მოწონება და დაინტერესება გამოიწვია.

3.მესამე დღეს -მე-9 კლასმა კი მოაწყო დედაენის დღისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო „ო,ენავ ჩემო...“,

4.მეოთხე დღეს ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი: „რა? სად? როდის?“,სადაც მე-9, მე-10 ,მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეები ლებულობდნენ მონაწილეობას.

5.მეხუთე დღეს კი გაიმართა კონკურსი საუკეთესო ნამუშევრების გამოსავლენად , კვირეული დასრულდა კონკურსის შედეგების განხილვითა და დაჯილდოებით.

გამოიკვეთა შემდეგ ნომინაციებში გამარჯვებულნი:

1.,,საუკეთესო კედლის გაზეთი“,

2.,,საუკეთესო ესე“

3. „საუკეთესო დეკლამატორი“

4. „საუკეთესო კალიგრაფი“

5. გამოვლინდა საუკეთესო ლექსის ავტორიც.

მოსწავლეები პროექტზე მუშაობისას აქტიურად თანამშრომლობდნენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან (ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ისტ); ამასთანავე პროექტზე მუშაობისას მოსწავლეებმა განამტკიცეს შემდეგი უნარები:

1. შექმნილი ცოდნა და უნარები გამოიყენეს პრაქტიკაში;

2. გაიზარდა სწავლის მოტივაცია და მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობა;

3. შექმნეს სასწავლო რესურსები სლაიდების სახით; საკლასო ოთახებს შეემატა ახალი კედლის გაზეთები, მოვაწყვეთ კალიგრაფიული ნიმუშების გამოფენა

4. მოხდა ცოდნის ტრანსფერი.

**შესრულებული სამუშაოს შეფასება:** შეაფასდა მოსწავლეთა საპრეზენტაციო, კვლევის უნარები.

ასევე, მუშაობის პროცესში, მოსწავლეები პერიოდულად წარმოადგენდნენ მოკლე შუალედურ წერილობით და ზეპირ ანგარიშებს.

ინტერდისციპლინალური სამუშაო წარმატებით შესრულდა.

### **დასკვნა**

საგანმანათლებლო პროექტების გამოყენება კარგი საშუალებაა მოსწავლეთა უნარებისა და მიდრეკილებების წარმოსაჩენად და განსავითარებლად, რადგან პროექტზე მუშაობა მოსწავლეს უვითარებს მიღებული ცოდნის და გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევებს, რაც მოსწავლეების ჩართულობის ზრდასა და სწავლისადმი ინტერესის გაღრმავებაში, საბოლოოდ კი, მათ სასწავლო შედეგებზეც აისახება, რადგან გუნდური მუშაობა მოსწავლეების პროდუქტიულობის წინაპირობაა და ამის შედეგად მოსწავლეებს უვითარებდებათ კომუნიკაციისა და სოციალური, ჯგუფური თუ გუნდური მუშაობის, თანამშრომლობის უნარ-ჩვევები და კომპეტენციები თუ XXI საუკუნის უნარებზე შევაჩერებთ ყურადღებას, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების ეს მოდელი ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას და დისციპლინათმორისი გამოცდილებების გამთლიანებას. მოსწავლეს აძლევს არსებულ ცოდნასთან ახალი ცოდნის შერწყმის და კონკრეტულ საგანში მსჯელობის უნარ-ჩვევებს; აძლევს უნარს, დაინახოს მოვლენები მრავალმხრივ და უფრო ღრმა პერსპექტივით; იძლევა თეორიის და პრაქტიკის გამთლიანების შესაძლებლობას.

საბოლოოდ კი უნდა ითქვას, რომ პროექტით სწავლება აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა, რაც ზრდის როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის სწავლის/სწავლების მოტივაციას და ამ მოდელის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა სწორედ ინტერაქტიულობის მაღალი ხარისხია. სწორედ ამიტომ ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მიზანია სწავლების ამ მეთოდის დანერგვა/ადაპტირება ქართულ სასკოლო საგანმანათლებლო სივრცეში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მ. ბოჭორიშვილი; როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი - გზამკვლევი მასწავლებლებს;
2. მ. ბოჭორიშვილი - ტრანსფერული ცოდნის შეძენის პროცედურები და შესაბამისი მეთოდური ინსტრუმენტები;
3. ს. ლობჯანიძე; როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტი გაკვეთილი;
4. ნინიძე ე.; „პროექტზე დაფუძნებული სწავლება და მისი პერსპექტივები“, ჟურნალი მასწავლებელი N 5 2011, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა : 46-59;